არაოფიციალური თარგმანი
რეზოლუცია 2472 (2022)1

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტი Covid-19-ის პანდემიის გავლენა ევროპაში პატიმრობაში მყოფ მოსახლეობაზე

ანგარიშის პროექტი*

მომხსენებელი: ბატონი გივი მიქანაძე, საქართველო, სოციალისტები, დემოკრატები და მწვანეთა ჯგუფი

ა. დადგენილების პროექტი

1. ასამბლეა იხსენებს მის მიერ გაწეულ სამუშაოს Covid-19-ის პანდემიის საპასუხოდ და იმ შეშფოთებებს, რომელიც მან გამოხატა იმ შემაკავებელი ზომების გავლენის შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლება აღკვეთილ პირთა ძირითად თავისუფლებებზე. ამ სამუშაოს ფარგლებში ასამბლეამ მიიღო შემდეგი რეზოლუციები: რეზოლუცია 2329 (2020) - „გაკვეთილები მომავლისთვის Covid-19-ის პანდემიაზე ეფექტიანი და უფლებებზე დაფუძნებული რეაგირებებისაგან“ რეზოლუცია 2338 (2020) თემაზე „Covid-19 პანდემიის გავლენა ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობაზე“ და რეზოლუცია 2424 (2022) „კოვიდ-19-ის დამარცხება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზომებით“.
აღსანიშნავია, რომ რეზოლუციაში - 2338 (2020) ასამბლეამ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს „უზრუნველვყოთ თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება და რათა ისინი არ დაექვემდებარონ არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. სრულიად გავითვალისწინოთ მითითებები, რომლებსაც იძლევიან ისეთი ორგანოების ექსპერტები, როგორიცაა CPT“.

2. ასამბლეა აღნიშნავს, რომ, კოვიდ-19-ის პანდემიის დროს, ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა დააწესეს სხვადასხვა პრევენციული სანიტარული ზომები, ასევე ისეთი ზომები, რომლებიც ზღუდავს პატიმართა - და ზოგჯერ ციხის პერსონალის - უფლებებს, თავისუფლებებს და კეთილდღეობას, პანდემიის გავრცელების კონტროლის მიზნით: ციხეში მყოფ პირებს შორის.

3. ზოგიერთმა ქვეყანამ გადადგა აქტიური ნაბიჯები პატიმართა რაოდენობის შესამცირებლად, ციხის გადატვირთულობასა და ციხეებში კორონავირუსის გავრცელებას შორის აშკარა კავშირის გათვალისწინებით. ზოგიერთ ქვეყანაში პრიორიტეტი მიანიჭეს პატიმართა და ციხის პერსონალის ვაქცინაციას, დახურულ გარემოში Covid-19-ის რისკების გათვალისწინებით.

4. სოციალური დისტანციური ზომების დაცვამ, რისი გაკეთებაც, ხშირად, აუცილებელი იყო, სავარაუდოდ, უდიდესი გავლენა იქონია პატიმრების კეთილდღეობაზე. ეს მოიცავდა შეზღუდვებს გარე სამყაროსთან კონტაქტზე, ასევე ციხეებში კონტაქტებისა და საქმიანობის შეზღუდვას. ამ ზომების აუცილებლობა და მათი საჭიროების გამართლება ყოველთვის ნათლად არ მიეწოდებოდა პატიმრებს. განხორციელდა გარკვეული კომპენსაციური ზომები, როგორიცაა სატელეკომუნიკაციო შესაძლებლობების გაუმჯობესება ოჯახთან დაკავშირების მიზნით, მაგრამ, სავარაუდოდ, გავლენა პატიმართა კეთილდღეობაზე მაინც მნიშვნელოვანი იყო, შესაბამისად იმისა, თუ როგორ გაიზარდა თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობის მცდელობების შემთხვევების რაოდენობა.

5. ასამბლეა იხსენებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ETS No. 5, „კონვენცია“) შესაბამისად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება მიიღონ შესაბამისი ზომები მათი იურისდიქცია ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად. განსაკუთრებით კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, რომელიც იცავს სიცოცხლის უფლებას და მისი მე-8 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. ეს პოზიტიური ვალდებულებები განსაკუთრებით გამოხატულია დაკავების დაწესებულებებში

მყოფთათვის, რომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაც დამოკიდებულია სახელმწიფოს ქმედებებზე.

6. Covid-19-ის პანდემიის შედეგად დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, ასამბლეა იხსენებს, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა შეიძლება იყოს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც ამართლებს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებების შეზღუდვას (მუხლი 8) და შეკრებისა და ასოციაციის თავისუფლებას. (მუხლი 11), იმ პირობით, რომ ასეთი შეზღუდვები არის „კანონით დადგენილი“, „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და პროპორციულია ლეგიტიმური მიზნისა.

7. თუმცა, ასამბლეა აღნიშნავს, რომ წამების ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა (მუხლი 3) აბსოლუტურად აუცილებელია; ამიტომ ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც გადალახავს ამ ზღვარს, არ შეიძლება იყოს გამართლებული. ასამბლეა ანალოგიურად აღნიშნავს წამების პრევენციის კომიტეტის განცხადებებს, ასევე ინფორმაციულ და ავტორიტეტულ ანგარიშებს დაკავების დაწესებულებებში სტანდარტებთან დაკავშირებით, და განსაკუთრებით, Covid-19-ით შექმნილ გამოწვევებს დაკავების ადგილებში.

8. ასამბლეა აღნიშნავს, რომ ციხეებში სანიტარული პირობების შექმნა გადამწყვეტი იყო Covid-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ციხეებში. ციხეში მყოფთა ჯანმრთელობა უნდა იყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის განუყოფელი ნაწილი და ადექვატური სამედიცინო მკურნალობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაკავების დაწესებულებაში. დაავადების გავრცელების სპეციფიკური რისკების გათვალისწინებით, ყველა ვინც ციხეების დახურულ დაწესებულებებში იმყოფება და ყველგან, სადაც სახელმწიფო პასუხისმგებელია პატიმრებზე, ციხეში მყოფთა ჯანმრთელობას უნდა მიენიჭოს ის პრიორიტეტი, რასაც ის იმსახურებს. კერძოდ, პატიმართა და ციხის პერსონალს უნდა შესთავაზონ ვაქცინები და გამაძლიერებლები - შესაბამისი საინფორმაციო კამპანიებით, რათა პატიმრები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი ვაქცინებთან დაკავშირებული სამედიცინო ინფორმაციის შესახებ.

9. ასამბლეა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ ციხეებში გადატვირთულობის პრობლემები არსებობდა პანდემიამდე, როგორც ეს აღნიშნულია წამების პრევენციის კომიტეტის მიერ მომზადებულ რიგ მოხსენებებში, ისევე როგორც სასამართლოს მიერ გამოტანილი მრავალჯერადი გადაწყვეტილებით. ასეთი გადატვირთული პირობები ნიშნავდა იმას, რომ ძნელი იყო Covid-19-ით ინფიცირებული ადამიანების ადეკვატურად გამიჯვნა - გამოყოფა ციხეში მყოფ დანარჩენი პირებისგან, რათა შეჩერებულიყო ვირუსის უკონტროლო გავრცელება ასეთ გადატვირთულ ციხეებში. შედეგად, ციხის მოსახლეობის შემცირების მცდელობები განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და მდგრადი ღონისძიება ციხეებში Covid-19-ის პრევენციისა და კონტროლისთვის, პატიმრებს შორის ფიზიკური დისტანციისთვის სივრცის უზრუნველყოფის გზით. ევროპის საბჭოს წლიურმა სასჯელაღსრულების სტატისტიკის პროექტმა, სხვა საკითხებთან ერთად, დაასკვნა, რომ Covid-19-ის გამო, ევროპაში პატიმრების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა 2020 წლიდან 2021 წლის იანვრამდე. ეს შემცირება ძირითადად განპირობებული იყო: (i) პანდემიის დროს, გადაადგილების შეზღუდვის კონტექსტში, გარკვეული ტიპის დანაშაულების შემცირებით, (ii) სასამართლო სისტემების მუშაობის შენელებით და (iii) ზოგიერთ ქვეყანაში გამოყენებული გათავისუფლების სქემებით, რათა თავიდან აეცილებინათ ან შეემცირებინათ პანდემიის გავრცელება.

10. პანდემიამდე, განიხილებოდა დაკავების ალტერნატიული ვარიანტები. Covid-19-ის გაზრდილმა რისკმა, ციხის გადატვირთულობის გამო, ქვეყნებს უბიძგა და საშუალება მისცა დაენერგათ დაკავების ალტერნატიული ისეთი ფორმები, როგორიცაა სახლში დაკავება ან საზოგადოებრივი მომსახურების დავალებების შესრულება. ზოგიერთმა სახელმწიფომ შეამცირა წინასწარი პატიმრობის გამოყენება და ხანგრძლივობა, ზოგმა გაათავისუფლა ან დროებით გაათავისუფლა პატიმრები, რომლებიც საზოგადოებისთვის დაბალი რისკის შემცველი იყვნენ. სხვა სახელმწიფოებმა (მაგ. საქართველომ და პორტუგალიამ) მიიღეს ამნისტიის კანონები. როდესაც ევროპა გამოდის პანდემიური კრიზისიდან, ამ გამოცდილებიდან შეიძლება სასარგებლო გაკვეთილების გამოტანა, რათა გაგრძელდეს პატიმრობის ალტერნატივების გამოყენება, რათა შემცირდეს ციხის

მოსახლეობა მინიმუმამდე და უფრო ადვილი გახდეს ციხეებში გადატვირთულობის რისკების გამკლავება.

11. ასამბლეა ასევე ინფორმირებულია, რომ, ევროპის საბჭოს ქვეყნების ციხეებში, არსებობს განსხვავებული პირობები და მოდელები, რომლებიც აუცილებელია Covid-19-ის გასამკლავებლად და რომლებიც საუკეთესოდ რეაგირებენ ამ კონკრეტულ გარემოში წარმოდგენილ რისკებზე. ანალოგიურად, ციხის ზოგიერთი სტრუქტურის დიზაინი ხელს უწყობს პატიმრების ერთმანეთისგან განცალკევებას, რაც ხელს შეუწყობს ვირუსის გავრცელების შეკავებას დაწესებულებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ ციხეში მიღებული პრაქტიკა ადექვატურად იყოს ადაპტირებული ამ დაწესებულებებში არსებულ გამოწვევებთან, რათა საუკეთესოდ დავიცვათ, როგორც პატიმრები, ისე ციხის პერსონალი, ხოლო პატიმრებს საშუალება მიეცეთ მაქსიმალურად ისარგებლონ სოციალური და სხვა აქტივობებით ასეთ გარემოებებში.

12. ასამბლეა აღნიშნავს, რომ მეგობრებისა და ოჯახის წევრების ან თუნდაც ადვოკატების ვიზიტების შეზღუდვას, ისევე როგორც სოციალური ჩართულობისა და აქტივობების შეზღუდვას ციხის გარემოში შეიძლება ჰქონდეს ღრმა გავლენა პატიმრის კეთილდღეობაზე. ასეთი სიტუაციები იწვევს თვითდაზიანების და თვითმკვლელობის მცდელობების ზრდას. სახელმწიფოებმა და ციხის ხელმძღვანელებმა უნდა მოძებნონ კრეატიული ვარიანტები ასეთი შეზღუდვებით შექმნილი სიცარიელის შესავსებად. ამიტომ ასამბლეა მიესალმება, რომ ბევრ ციხეში ვიზიტების შეზღუდვას თან ახლდა ტელეკომუნიკაციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რათა პატიმრებს შეეძლოთ დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს სატელეფონო და ვიდეო ზარების საშუალებით. სატელეფონო და ვიდეო ზარები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ადეკვატური გრძელვადიანი ალტერნატივა მნიშვნელოვანი პირადი ვიზიტებისა და ოჯახთან კონტაქტისთვის. მაგრამ ისინი შეიძლება იყოს სასარგებლო და მნიშვნელოვანი დანამატი, რაც საშუალებას მისცემს პატიმრებს შეინარჩუნონ მნიშვნელოვანი ოჯახური და საზოგადოების კავშირები, რათა უკეთ უზრუნველყონ მათი წარმატებული რეინტეგრაცია საზოგადოებაში პატიმრობის ვადის ბოლოსკენ.

13. ასამბლეა თანაბრად აღიარებს იმ მნიშვნელოვან გავლენას, რომელიც Covid-19-ის პანდემიამ და ციხის დაწესებულებებში Covid-19-ის გავრცელების პრევენციისთვის მიღებულმა ზომებმა მოახდინა ციხის პერსონალზე. Covid-19-ის გავრცელების შეზღუდვის მიზნით, ციხის პერსონალს ხანდახან მოეთხოვებოდა ციხის გარემოში ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის გატარება, ასევე მნიშვნელოვანი საკარანტინო პერიოდების გავლა, რათა თავიდან აიცილონ ვირუსის გავრცელება გარე საზოგადოებაში. ამგვარმა ზომებმა აუცილებლად მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა პერსონალის ცხოვრების ხარისხზე, განსაკუთრებით ოჯახურ ცხოვრებაზე, მათ ჯანმრთელობასა და მორალურ მდგომარეობაზე, რამაც, შედეგად, გარკვეული ზემოქმედება მოახდინა იმ პირზე, ვინც საპატიმრო დაწესებულებებში იმყოფება.

14. ასამბლეის აზრით, წევრ ქვეყნებში არსებობდა რამდენიმე სასარგებლო პრაქტიკა და გამოცდილება ციხის დახურულ გარემოში დაავადების გავრცელების მართვისა და პატიმრობის ალტერნატივების ხელშეწყობაში. მიუხედავად ამისა, გადატვირთულობა და სხვა ფაქტორები კვლავაც უქმნის რისკს ვირუსის შეკავებას. პატიმართა თავისუფლებებზე შეზღუდვის დაწესებისას, სწორი ბალანსი უნდა იყოს დაცული ვირუსის უკონტროლო გავრცელების პრევენციასა და პატიმართა თავისუფლებების შეზღუდვას შორის და ეს მხოლოდ საჭიროებისამებრ უნდა კეთდებოდეს. პანდემია ჯერ არ დასრულებულა. ამიტომ საუკეთესო პრაქტიკა უნდა იყოს გაზიარებული და დანერგილი Covid-19-ის და სხვა მსგავსი გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს, რომ შეზღუდვები დაწესდეს მხოლოდ იმ მოცულობითა და ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია.

15. ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

15.1. შეიმუშაონ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები თითოეული ქვეყნისთვის და თითოეული ციხისთვის, ისე რომ მორგებული იყოს ამ დაკავების ადგილის კონკრეტულ სპეციფიკასა და საჭიროებებზე;

15.2 გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი ციხეებში გადატვირთულობის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით იმ ვარიანტების გათვალისწინებით, რომლებიც

სახელმწიფოებმა გამოიყენეს Covid-19-ის პანდემიის დროს, მათ შორის პატიმრობის ალტერნატივის სისტემების დანერგვითა და ისეთი სისტემების დანერგვით, რომლებიც საშუალებას მისცემს ვადაზე ადრე გათავისუფლებას ან გათავისუფლებას ყველაზე დაუცველი პატიმრებისთვის;

15.3. განახორციელოს ჯანდაცვის მტკიცე უზრუნველყოფა, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, რათა ის ხელმისაწვდომი იყოს ყველა იმ პირისთვის, ვინც დაკავების დაწესებულებებში იმყოფება;

15.4. გააძლიეროს ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა ციხეებზე (და დაკავების ყველა დაწესებულებაში) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მათ შორის დაკავების დაწესებულებებში ადექვატური სამედიცინო სკრინინგის პროცესების უზრუნველყოფის გზით;

15.5. უზრუნველყოს, რომ კარანტინი ან იზოლაცია გამოიყენებოდეს მხოლოდ მკაცრად საჭიროების შემთხვევაში, და რომ ყველა პატიმარს, რომელიც კარანტინში ან სხვაგვარად იზოლირებულად იმყოფება, შესთავაზოს წვდომა საკნის გარეთ ვარჯიშებზე, აგრეთვე ადამიანებთან კონტაქტზე, მათ შორის სატელეფონო ზარებზე;

15.6. უზრუნველყონ, რომ პატიმრებსა და ციხის პერსონალს შესთავაზონ ვაქცინაცია და გამაძლიერებლები, ამასთან, უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი პრიორიტეტები, იმ განსაკუთრებული რისკის გათვალისწინებით, რომელიც ემუქრება დაკავების დაწესებულებებში მყოფებს და ასევე დაუცველ პატიმრებს;

15.7. უზრუნველყოს, რომ მიღებულ იქნას სპეციალური ზომები კოვიდ-19-ით დაავადებული ან სერიოზულად დაავადების უფრო მაღალი რისკის ქვეშ მყოფი პირების იდენტიფიცირებისთვის და შემდეგ მიღებული იქნას ზომების ციხის მოსახლეობაში მოწყვლადი ჯგუფების დასაცავად, მაგალითად დროებით გათავისუფლებით, სპეციფიური სამედიცინო დახმარებით ან ციხის უფრო ფართო მოსახლეობისგან იზოლირებით;

15.8. უზრუნველყონ, რომ პატიმრებისთვის ჩვეულებრივ ხელმისაწვდომ უფლებებსა და თავისუფლებებზე ნებისმიერი შეზღუდვა შემოღებულ იქნეს მხოლოდ საჭირო ზომითა და ხანგრძლივობით და რაც შეიძლება ნაკლებად შეეხონ მათ ზოგად კეთილდღეობას;

15.9. კერძოდ, უზრუნველყოს, რომ იურიდიული მომსახურების მიმწოდებლების ან მონიტორინგის ორგანოების მიერ ციხეებში წვდომა არ შეიზღუდოს – ისეთ დახურულ კულტურებში, როგორიც ციხეებია, გარე მონიტორინგი აუცილებელია პატიმართა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად

15. 10. იფიქრეთ პატიმართა კომპენსაციის ალტერნატიულ საშუალებებზე იმ შეზღუდვებისთვის, რომლებიც მათ შეიძლება Covid-19 კრიზისის გამო დაუწესდეთ. ასეთი კომპენსაციაა სატელეკომუნიკაციო წვდომის გაუმჯობესება ოჯახური ურთიერთობების შესანარჩუნებლად;

15.11. უზრუნველყონ, რომ სატელეკომუნიკაციო ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ოჯახთან კონტაქტისთვის, შენარჩუნდეს პანდემიის შემდეგ, როგორც სასარგებლო საშუალება ოჯახის წევრებთან კონტაქტის გასაადვილებლად და უფრო წარმატებული რეაბილიტაციისთვის სასჯელის დასრულებამდე – ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ ასეთმა კონტაქტმა არ ჩაანაცვლოს მნიშვნელოვანი პირისპირ კონტაქტი ახლობლებთან;

15.12. უზრუნველყონ, რომ, მაშინაც კი, როდესაც სასამართლოში ფიზიკური გადაადგილება შეზღუდულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გამო, ხელმისაწვდომი იყოს ონლაინ მოსმენები (სადაც საჭიროა), საჭირო ტელეკომუნიკაციებთან ერთად, ასეთი ონლაინ მოსმენების მხარდასაჭერად, რათა უზრუნველყოფილი იყოს პატიმრების ადექვატური და დროული წვდომა სასამართლოზე და სასამართლოში მოსმენებზე;

15.13. უზრუნველყოფილი იყოს კარგი კომუნიკაცია და კოორდინაცია სხვადასხვა უწყებებსა და ორგანოებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ციხის მოსახლეობაზე, მოქმედ კრიზისზე რეაგირებაზე. ეს უწყებებია: ჯანდაცვის

სამინისტროები, ჯანდაცვის მრჩევლები, იუსტიციის სამინისტროები, ციხის ორგანოები და პრობაციის ორგანოები;

15.14. განხორციელდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო კამპანიები, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ ციხის თანამშრომლებმა მიიღონ ყველა შესაბამისი ინფორმაცია და ტრენინგი საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, რათა აღმოაჩინონ და შეაჩერონ Covid-19-ის გავრცელება;

15.15. განხორციელდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო კამპანიები პატიმრების ინფორმირებისთვის Covid-19-ის და სხვა გადამდები დაავადებების რისკების, ამ რისკებთან ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, აგრეთვე პატიმრებისთვის ვაქცინაციის ვარიანტების შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების მიზნით;

15.16. უზრუნველყოფილი იქნას ადექვატური მონაცემების შენახვა ციხისა და პრობაციის პოპულაციების შესახებ. განხორციელდეს სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიური კვლევები, რათა დადგინდეს, თუ როგორ უნდა შემცირდეს რეციდივი და წახალისდეს დამნაშავეთა წარმატებული რეინტეგრაცია საზოგადოებაში;

15.17 დაწესდეს პროცედურები, რომლებიც სრულად ითვალისწინებს ციხის პერსონალის წინაშე მყოფი საფრთხეებსა და რისკებს Covid-19-ის პანდემიის კონტექსტში. ასევე გაძლიერდეს მათი კეთილდღეობა ისეთი სხვადასხვა ზომებით, როგორიცაა დამატებითი საკარანტინო მოთხოვნები, და დანერგოს ადეკვატური ზომები ციხის პერსონალის კომპენსაციისთვის ისეთი ზემოქმედებებით როგორიცაა: შვებულება, ფინანსური კომპენსაცია, დასვენება და შესვენება და ისეთი სარეაბილიტაციო ღონისძიებებით, როგორიცაა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;

15.18. გადაიდგას ყველა საჭირო ნაბიჯი, რათა რაც შეიძლება სწრაფად განახორციელოს წამების პრევენციის კომიტეტის რეკომენდაციები ამ სფეროში, მათ შორის ათი პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბებულია CPT-ის „დეკლარაციაში თავისუფლებააღკვეთილ პირთა მოპყრობის პრინციპების შესახებ მიმდინარე Covid-19 პანდემიის კონტექსტში";

15.19. უზრუნველყოფილი იქნას, რომ ევროპაში ცხოვრების მზარდმა ხარჯებმა, ენერგიისა და საკვების ფასების ჩათვლით, არაპროპორციულად არ იმოქმედებს ციხეებში ცხოვრების პირობებზე.

ა. რეკომენდაციის პროექტი 2242 (2022)

1. მითითება მის დადგენილებაზე 2472 (2022) „კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა პატიმრების პოპულაციაზე ევროპაში“, საპარლამენტო ასამბლეა რეკომენდაციას უწევს მინისტრთა კომიტეტს:

1.1. დააწესოს გაიდლაინები, რომლებიც ადგენს ადამიანის უფლებებთან შესაბამის და ეფექტიან პრაქტიკებს, რათა ციხის დაწესებულებებს საშუალება მისცენ ეფექტიანი რეაგირება მოახდინონ დაავადების გავრცელებაზე, დაეყრდნოს სხვადასხვა პრაქტიკასა და სახელმწიფოების გამოცდილებას სხვადასხვა ციხეებში Covid-19 პანდემიის დროს და ასევე გაიზიაროს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, წამების პრევენციის კომიტეტისა და სხვა შესაბამისი ექსპერტიზის მქონე ორგანოების გამოცდილება და რჩევები.

1.2. განახორციელოს შემდგომი მუშაობა, რათა განიხილოს, თუ როგორ უნდა მოხდეს პატიმრობის ალტერნატივის ხელშეწყობა, როგორც სასარგებლო ინსტრუმენტისა ციხეების გადატვირთულობის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაეყრდნოს წევრი სახელმწიფოების უახლეს გამოცდილებას, Covid-19 პანდემიის დროს, სხვადასხვა ალტერნატივების გამოყენების სფეროში.